*დანართი 15*

**შპს უსაფრთხოების აკადემია**

**<u>დამტკიცებულია:</u>**

კოლეჯის საბჭოს თავმჯდომარე:

დავით მაზმიშვილი

08/02/ 2024 წ.

# შრომის უსაფრთხოებისა და დაცვის სამსახურის დებულება

თბილისი 2024

**მუხლი 1. ზოგადი დებულებები**

1.1. კოლეჯის შპს „უსაფრთხოების აკადემია“ (შემდგომში – კოლეჯი) შრომის უსაფრთხოებისა და დაცვის სამსახური (შემდგომში – სამსახური) წარმოადგენს კოლეჯის სტრუქტურულ ერთეულს, რომელიც ხელმძღვანელობს საქართველოს კანონმდებლობით, კოლეჯის დებულებით, წინამდებარე დებულებით და კოლეჯის სხვა ნორმატიული აქტებით.

1.2. სამსახური ანგარიშვალდებულია კოლეჯის რექტორის წინაშე.

**მუხლი 2. სამსახურის ამოცანები და ფუნქციები**

2.1. სამსახურის ამოცანები:

2.1.1. კოლეჯში წესრიგისა და შინაგანაწესის დაცვა, დარღვევის გამოვლენა და შესაბამისი რეაგირება;

2.1.2. კოლეჯის სტუდენტების, თანამშრომლებისა და ვიზიტორების უსაფთხოების უზრუნველყოფა კოლეჯის ტერიტორიაზე ყოფნის პერიოდში;

2.1.3. კოლეჯში სახანძრო უსაფრთხოების უზრუნველყოფა;

2.1.4. კოლეჯის შენობისა და ინვენტარის დაცვა;

2.1.5. კოლეჯის ვიზიტორების შენობაში შემოსვლისა და გასვლის კონტროლი.

2.2. სამსახურის ფუნქციები:

2.2.1. კოლეჯის შენობაში დღის განმავლობაში განუწყვეტელი ყოფნა და ობიექტის შემოვლა-შემოწმება;

2.2.2. სამუშაო საათების დასრულების შემდეგ შენობის დაცულობის, სიგნალიზაციის სისტემის გამართული მუშაობის შემოწმება და კორპუსის ჩაბარება;

2.2.3. სახანძრო უსაფრთხოების უზრუნველყოფა, ხანძარსაწინააღმდეგო საშუალებების მუდმივად გამართულ მდგომარეობაში არსებობის მონიტორინგი;

2.2.4. დაცვის ტექნიკური საშუალებების – ვიდეომეთვალყურეობის და სასიგნალიზაციო სისტემების ექსპლუატაციაზე ზედამხედველობა;

2.2.5. უსაფრთხოების მიზნით კოლეჯის შენობა-ნაგებობის გარე და შიდა განათების გამართულ მუშაობაზე კონტროლი და ხარვეზის აღმოჩენის შემთხვევაში დროული რეაგირება;

2.2.6. კოლეჯის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის დაცვა დაზიანებისაგან, ძარცვისაგან, და სხვა საფრთხეებისგან;

2.2.7. საჭიროების შემთხვევაში გადაუდებელი სამედიცინო დახმარების უზრუნველყოფა.

## 3. სამსახურის ხელმძღვანელობა

3.1. სამსახურს ხელმძღვანელობს სამსახურის უფროსი, რომელსაც თანამდებობაზე ნიშნავს/ათავისუფლებს კოლეჯის რექტორი.

3.2. სამსახურის უფროსი:

3.2.1. შეიმუშავებს კოლეჯის უსაფრთხოების ქმედით მექანიზმებს;

3.2.2. წარმართავს სამსახურის საქმიანობას;

3.2.3. კომპეტენციის ფარგლებში ამზადებს კოლეჯის მმართველ სტრუქტურებში განსახილველი საკითხების პროექტს და რეკომენდაციებს;

3.2.4 კომპეტენციის ფარგლებში ატარებს სამსახურებრივ მოკვლევას;

3.3.5 კოლეჯის რექტორთან კოორდინირებით თანამშრომლობს სამართალდამცავ ორგანოებთან.

## მუხლი 4. სამსახურის რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია

4.1. სამსახურის რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია ხორციელდება კოლეჯის საბჭოს გადაწყვეტილების საფუძველზე რექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.

## მუხლი 5. დებულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა

5.1. დებულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა ხორციელდება სამსახურის ხელმძღვანელის მიერ მომზადებული ცვლილება-დამატებების პროექტის წარდგენითა და კოლეჯის საბჭოს მხრიდან გახილვისა და დამტკიცების გზით.